WWW.APA.GE
დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და განათლების
ცენტრი

ეროვნული სატყეო
სააგენტო

გარემოს
ეროვნული სააგენტო

# გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

# საერთაშორისო ვალდებულებები და გამოწვევები

ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგი

\+

კონვენციები

1. გზშ-ს დაქვემდებარებული საქმიანობების სრული ჩამონათვალი
2. სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურები
3. ტრანსსასაზღვრო პროცედურები
4. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
5. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობის მაღალი ხარისხი

# არსებული რეგულირების და პრაქტიკის მიმოხილვა

| | |
|---|---|
| გზშ-ს დაქვემდებარებული საქმიანობების არასრულყოფილი ჩამონათვალი | • გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობების რეგულირების გარეშე არსებობა. |
| დემოკრატიული მმართველობის დაბალი ხარისხი | • საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის დაბალი ეფექტურობა. |
| საჯარო განხილვის უზრუნველყოფა საქმიანობის განმახორციელებლის მიერ | • საჯაროობის დაბალი ხარისხი;<br>• ინვესტორის დამატებითი ხარჯი და პასუხისმგებლობა |
| სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების არარსებობა | • ინვესტორის ფინანსური დანაკარგების რისკი;<br>• პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი გარემოებების წარმოქმნის რისკი;<br>• გზშ-ს არასრულყოფილი ანგარიში |
| ერთი სარკმლის პრინციპის არასწორი პრაქტიკა | • ინვესტორისათვის ფორმალურად გართულებული პროცედურები;<br>• საზოგადოების ჩართულობისთვის არასაკმარისი ვადები |

# ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმა

## სამართლებრივი

- დარგის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, საერთაშორისო შეთანხმებებზე მიერთება
- დარგის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის შექმნა, კოდიფიკაცია

## ინსტიტუციური

- შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბება
- რეგულირებისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება

# რეფორმის ძირითადი პრინციპები

- **მწვანე ეკონომიკა**

უსაფრთხო და მრავალფეროვანი გარემოს ეკონომიკური პოტენციალის განვითარება

- **მდგრადი განვითარება**

სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ინტერესთა ჰარმონიზაცია

- **დემოკრატიული მმართველობა**

სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღებისა და მონიტორინგის პროცესში

# სახელმწიფოს როლი პროცესების საჯაროობასა და საზოგადოების ჩართულობაში

- გარემოსდაცვითი შეფასების სააგენტოს, ჯანდაცვის სამინისტროს და დამგეგმავი ორგანოს ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება;
- ბეჭდვით ორგანოებში ინფორმაციის გამოქვეყნება;
- საქმიანობის ადგილას და უახლოეს დასახლებულ პუნქტებში საინფორმაციო შინაარსის განცხადებების გავრცელება;
- საჯარო განხილვის ორგანიზება და ჩატარება, სახელმწიფო, როგორც მედიატორი საზოგადოებრივ და სამეცნიერო აზრს შორის.

# კოდექსით გათვალისწინებული ახალი რეგულაციები

| პროცედურული სიახლეები | უპირატესობები |
| --- | --- |
| • სკრინინგის პროცდურის დანერგვა;<br>• სკოპინგის პროცდურის დანერგვა;<br>• სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის დანერგვა;<br>• ტრანსსასაზღვრო პროცედურების შემოღება; | • გარემოზე მნიშნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობების რეგულირების ქვეშ მოქცევა;<br>• საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობა ადრეულ ეტაპზე/მთელი პროცესის მანძილზე;<br>• საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების დანერგვა;<br>• ადმინისტრაციული წარმოების ვადების ოპტიმიზაცია;<br>• პროცესებში სამეცნიერო და საზოგადოებრივი აზრის მონაწილეობა, გადაწყვეტილების მაღალი სანდოობა. |

# რეგულირებას დაექვემდებარება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობები

**მათ შორის:**

- წიაღისეულის მოპოვება ღია კარიერული წესით;
- მეფრინველეობის ან/და მეღორეობის ფერმები;
- სამელიორაციო სისტემების მოწყობა და ექსპლუატაცია;
- თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ზღვიდან ან მდინარიდან;
- ლუდისა და ალაოს წარმოება;
- ცხოველთა სასაკლაოების მოწყობა და ექსპლუატაცია;
- ურბანული განვითარების პროექტები, მათ შორის სავაჭრო ცენტრებისა და ავტოპარკების მოწყობა;
- წყალდიდობის და დატბორვის საწინააღმდეგო საკანალიზაციო სისტემის არხის გაყვანა;
- ეროზიასთან ბრძოლის სანაპირო სამუშაოების ჩატარება.

# საქმიანობების 2 დანართი

საქმიანობები დაჯგუფებულია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკის შესაბამისად

**I დანართი**
მაღალი რისკი

საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გარემოსდაცვითი პირობების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე

**II დანართი**
საშუალო რისკი

ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას




**სხვა საქმიანობები**
დაბალი რისკი

არ ექვემდებარება გარემოსდაცვითი პირობების შესახებ გადაწყვეტილების პროცედურას

# გადაწყვეტილების მიღების პროცედურა



# გადაწყვეტილების მიღების ვადების ოპტიმიზაცია

| პროცედურა | არსებული ვადები (კალენდარული დღე) | ოპტიმიზებული ვადები (სამუშაო დღე) |
|---|---|---|
| წინასწარი/ საჯარო განხილვა | 50-60 დღე | – |
| სკოპინგი | – | 30 დღე |
| ნებართვა/გარემოსდაცვითი პირობების შესახებ გადაწყვეტილების გაცემა | 15-20 დღე | 55 დღე |
| ჯამი | **80 დღე** | **85 დღე** |

# გადაწყვეტილების მიღების ვადები (სკრინინგი/სკოპინგი)



# „გარემოსდაცვითი პირობების შესახებ“ გადაწყვეტილების მიღების ვადები



# „გარემოსდაცვითი პირობების შესახებ“ გადაწყვეტილება

- გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გაემიჯნება მშენებლობის ნებართვის პროცედურას;
- მიღებული გადაწყვეტილება გახდება სხვა ლიცენზიის და ნებართვის გაცემის, ან საქმიანობის განხორციელების წინაპირობა;
- სამინისტროს მიერ უზურუნველყოფილი იქნება ყველა ეტაპზე საზოგადოების  ეფექტური ინფორმირება და მონაწილეობა;
- სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი იქნება საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის შესწავლა (ადგილზე დათვალიერება);
- გაუმჯობესდება გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის ხარისხი.

# სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)

**სგშ** - სტრატეგიული დოკუმენტის (გეგმა, პროგრამა, სტრატეგია და ა.შ) განხორციელების შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლის პროცედურა.

**სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტები**

- სახელმწიფო ორგანოების მიერ დასამტკიცებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისი დარგის განვითარების სტრატეგიას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოზე.

**სგშ-ს დაქვემდებარებული სექტორები:**

- სოფლის მეურნეობა;
- სატყეო მეურნეობა;
- თევზჭერა;
- ენერგეტიკა;
- მრეწველობა;
- ტრანსპორტი;
- ნარჩენების მართვა;
- წყლის მართვა;
- ტელეკომუნიკაციები;
- ტურიზმი;
- ქალაქთმშენებლობა ან/და მიწათსარგებლობა;
- დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა

# ტრანსსასაზღვრო პროცედურები

ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენცია (ესპოს კონვენცია) და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ოქმი (კიევის პროტოკოლი)

**გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება ხორციელდება თუ:**

- გზშ-ს დაქვემდებარებულმა საქმიანობამ ან სტრატეგიულმა დოკუმენტმა, რომელიც ხორციელდება საქართველოში და შესაძლოა მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოახდინოს უცხო ქვეყნის გარემოზე;
- საქმიანობამ ან სტრატეგიულმა დოკუმენტმა, რომელიც ხორციელდება უცხო ქვეყანაში და შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს გარემოზე;
- საქართველოს და ზემოქმედებას დაქვედებარებულ სახელმწიფოს შორის გაფორმებულია ტრანსსასაზღვრო პროცედურებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულება.

# კოდექსის ამოქმედების ეტაპები

| კოდექსით გათალისწინებული რეგულაციები | ამოქმედების ვადები |
| --- | --- |
| კოდექსის ამოქმედება | 2017 წლის 1 იანვრიდან |
| მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი | გამოქვეყნებისთანავე |
| გარემოზე ტრანსსასაზღვრო შეფასების პროცედურებთან დაკავშირებული ნორმები ს ამოქმედება | 2018 წლის 1 იანვრიდან |

# რეფორმის შემდგომი ეტაპი

**ელექტრონული მმართველობის განვითარება**

- პროცედურების განხორციელება ელექტრონული პროგრამების მეშვეობით, ელექტრონული ფორუმები, ელექტრონული დოკუმენტები

**სერვისების მომხმარებლამდე მიტანა**

- დოკუმენტების მიღება და გაცემა საქმიანობის ადგილზე

**იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზებთან ინტეგრაცია**

- მრავალფუნქციური ინტეგრირებული კადასტრის გარემოსდაცვითი კომპონენტების განვითარება, მათი ჩართვა სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურაში (NSDI)

**ახალი მომსახურებების შემოღება**

- სამეცნიერო-მეთოდური და საინფორმაციო ხასიათის ახალი სერვისების დანერგვა

# გარემოსთან ჰარმონიაში!

საქართველოს გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო